

შპს ყაზბეგი 1881

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო
პერიოდის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება


ფინანსური ანგარიშგება:

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებები	7


შპს ყაზბეგი 1881

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	ახსნა- განმარტე ბა	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	1	3,226,545	3,826,542	4,317,849
არამატერიალური აქტივები		4,956	5,506	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,231,501	3,832,049	4,317,849
მოკლევადიანი აქტივები				
ფულადი სახსრები	2	74,674	96,385	206,453
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები		471,189	792,763	627,318
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	3	402,236	1,102,233	1,553,900
სხვა აქტივები		2,049,960	1,958,670	2,558,704
საგადასახადო მოთხოვნები ბიუჯეტთან		56,395	3,993	3,130
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,054,454	3,954,044	4,949,505
მთლიანი აქტივები		6,285,954	7,786,093	9,267,354
კაპიტალი				
სადამფუძნებლო კაპიტალი		13,872,000	5,820,000	5,820,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		-11,540,428	-11,917,667	-9,826,051
მთლიანი კაპიტალი		2,331,572	-6,097,667	-4,006,051
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	4	1,312,990	1,003,725	211,068
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		1,312,990	1,003,725	211,068
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,166,876	2,869,103	2,641,905
მოკლევადიანი სესხები	4	352,795	9,416,370	9,415,627
საპროცენტო ვალდებულებები	4	92,823	22,513	13,325
ვალდებულებები პერსონალთან		27,847	170,577	329,196
საგადასახადო ვალდებულებები		1,052	401,472	662,283
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,641,392	12,880,035	13,062,337
მთლიანი ვალდებულებები		3,954,382	13,883,760	13,273,405
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		6,285,954	7,786,093	9,267,354


დირექტორი





მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს


შპს ყაზბეგი 1881

2019 წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლისა და მოგება-ზარალის ანგარიშგება
(ლარებში)

	ახსნა- განმარტე ბა	2019	2018	2017
ამონაგები	5	(3,893,048)	(10,211,700)	(15,622,225)
თვითღირებულება		2,321,988	5,002,008	9,442,175
საერთო მოგება		(1,571,061)	(5,209,692)	(6,180,051)
სხვა შემოსავლები		(55,435)	(27,640)	(3,010)
მიწოდების ხარჯები		25,477	231,518	471,552
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	6	1,916,984	5,724,825	6,742,216
საოპერაციო მოგება		315,966	719,011	1,030,707
საპროცენტო ხარჯი		350,478	1,108,741	1,157,077
სხვა არასაოპერაციო მოგება-ზარალი		(1,043,683)	263,864	(215,252)
სულ არასაოპერაციო მოგება-ზარალი		(693,205)	1,372,605	941,825
მოგება დაბეგვრამდე		(377,239)	2,091,616	1,972,532
პერიოდის მოგება		(377,239)	2,091,616	1,972,532
მოგების გადასახადი		-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი		(377,239)	2,091,616	1,972,532



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ყაზბეგი 1881

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	2019	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წმინდა მოგება	377,239	(2,091,616)	(1,972,531)
კორექტირებები არაფულადი შემოსავლებისთვის და ხარჯებისთვის:	59,633	479,859	515,407
- ცვეთა	131,160	487,562	529,475
- წმინდა ფინანსური შემოსავალი/ხარჯი	(71,527)	(7,703)	(14,068)
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში	631,409	(120,325)	2,190,657
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	289,505	(329,972)	(83,994)
- მარაგები	701,296	451,311	906,758
- სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	(670,214)	391,725	481,075
- სხვა საგადასახადო ვალდებულებები	(452,822)	(261,675)	406,167
- სახელფასო ვალდებულებები	(142,731)	(158,619)	(63,309)
- მოთხოვნები დაკავშირებულ მხარეებთან	906,374	(213,096)	543,961
ოპერაციებიდან წარმოქმნილი ფულადი სახსრები	1,068,281	(1,732,083)	733,533
- მიღებული პროცენტი	39,722	10,733	2,525
- გადახდილი პროცენტები	31,805	(3,030)	11,543
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	1,139,808	(1,724,380)	747,601
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
- ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია	596,840	485,041	327,724
- ცვეთა	(127,397)	(486,802)	(528,656)
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	469,443	(1,761)	(200,932)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
- გადახდილი დივიდენდები	8,052,000	-	-
- სასესხო ვალდებულებები	(9,682,962)	1,616,072	(544,025)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან	(1,630,962)	1,616,072	(544,025)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების ზრდა (კლება)	(21,711)	(110,068)	2,644
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საწყისი ბალანსი	96,385	206,453	203,809
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების საბოლოო ბალანსი	74,674	96,385	206,453

თ. გუგუშვილი
დირექტორი




მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.


შპს ყაზბეგი 1881

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრისათვის (ლარებში)

	კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება / დაუფარავი ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბერი	(5,820,000)	9,826,051	4,006,051
2018 წლის წმინდა ზარალი	-	2,091,616	2,091,616
2018 წლის 31 დეკემბერი	(5,820,000)	11,917,667	6,097,667
შენატანები კაპიტალში	(8,052,000)	-	(8,052,000)
2019 წლის მოგება	-	(377,239)	(377,239)
2019 წლის 31 დეკემბერი	(13,872,000)	11,540,428	(2,331,572)



დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

თანდართული კომენტარები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

ზოგადი ინფორმაცია

შპს „ყაზბეგი 1881“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის.

შპს „ყაზბეგი 1881“ - ს.კ. 202191699 დაფუძნებულია 2002 წლის 7 მარტს შპს „კასტელი-საქართველო“-ს რეორგანიზაციის საფუძველზე. კომპანიის იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. 68ა. საზოგადოებას მართავს დანიშნული დირექტორი. კომპანიის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმაა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიას წილობრივი მონაწილეობით ფლობენ საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები.

კომპანიის საქმიანობის სფერო დაფუძნებულია 2019 წლის 20 მარტამდე იყო ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და რეალიზაცია.

კომპანია აწარმოებდა ლუდის შემდეგ სახეობებს: „ყაზბეგი“, „თბილისი“, „პორტერი“, „ყაზბეგი ოქრო“, „ახალი ყაზბეგი“, „ყაზბეგი 1881“ და უალკოჰოლო სასმელებს: ლიმონათი (ლიმონი, ტარხუნა, მსხალი, სიტრო, ფეიხოა, ნაღები, ფორთოხალი), ცივი ჩაი (ლიმონი, ატამი, ჟოლო) და ბურაბი. ლიმონათის არომატიზატორი მზადდებოდა საწარმოში ადგილობრივი ხილისგან.

ლუდი იხმებოდა 0,5 ლ. შუშის ბოთლებში, 1ლ, 2,5ლ PET ბოთლებში, 30 და 50 ლიტრიან კასრებში; ლიმონათი - 0,5 ლ. შუშის და 0,5ლ, 1ლ, 1,5ლ და 2ლ PET ბოთლებში. აღნიშნული პროდუქციის წარმოება ხდებოდა ქ. რუსთავში, სს „ყაზბეგი“-ის კუთვნილ საწარმოში, რომელიც შპს „ყაზბეგი 1881“-ს იჯარით ჰქონდა აღებული.

კომპანიას გააჩნია შვილობილი კომპანია - შპს „ყაზბეგი 2017“, რომელიც დაფუძნებულია 2016 წლის 20 დეკემბერს (ს.კ. 402043383) და რომლის 100%-იანი წილის მფლობელიც არის შპს „ყაზბეგი 1881“.

2019 წლის 20 მარტის პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით დამტკიცდა შპს „ყაზბეგი 1881“-ის ახალი წესდება, დაინიშნა სამეთვალყურეო საბჭო და ახალი დირექტორი, შეიცვალა საქმიანობის სფერო, ასევე მოხდა საწარმოს კაპიტალის გაზრდა.

აღნიშნული პერიოდიდან საწარმომ შეწყვიტა ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და საქმიანობას აგრძელებს, როგორც ლუდის ბარი. ასევე ამჟამად გაქირავებული აქვს საკუთრებაში არსებული ფართი.

ლუდის ბარები მდებარეობს ქ.თბილისსა და ქ. რუსთავში კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე შემდეგ მისამართებზე: ქ. თბილისი, უზნაძის ქ. 68ა და ქ. რუსთავი, მშვიდობის ქუჩის მიმდებარე ტორიტორია.

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

სააღრიცხვო პოლიტიკა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიის ხელმძღვანელობამ გამოიყენა სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების, ფაქტების, გარემოებებისა და სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებული საუკეთესო ცოდნა. ფინანსური უწყისების მომზადებისას მენეჯმენტი ეყრდნობოდა მსს ფასს სტანდარტებით დადგენილ პრინციპებს. ასევე კომპანიის მენეჯმენტი შეეცადა, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების მუხლების თანხობრივი მონაცემები არსებითად არ განსხვავდებოდეს მათი რეალური ღირებულებისგან.

თანხობრივი მაჩვენებლები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ქართულ ლარში, დამრგვალების გარეშე, რომელიც წარმოადგენს ორგანიზაციის ძირითად საანგარიშგებო ვალუტას, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

ორგანიზაციის ბუღალტრული აღრიცხვა წარმოებს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდება პირველად საბუღალტრო დოკუმენტებიზე დაყრდნობით განხორციელებული ბუღალტრული ჩანაწერების საფუძველზე.

კომპანია ფინანსურ აღრიცხვას აწარმოებს კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამის მეშვეობით.

შვილობილი საწარმო და კონსოლიდაციის საფუძველი

კომპანიას გააჩნია შვილობილი საწარმო შპს ყაზბეგი 2017, რომელმაც 2019 წლის მაისიდან არსებითად შეწყვიტა ოპერაციები. შესაბამისად იგი არ წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს. შვილობილი კომპანიის მენეჯმენტს არ აქვს გადაწყვეტილი სამომავლოდ ფუნქციონირების განახლება, რასაც ასევე ხელს უშლის COVID 19 პანდემიის გამო ქვეყანაში გაუარესებული ეკონომიკური გარემო და დაწესებული შეზღუდვები.

ხელმძღვანელობას სჯერა, რომ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილი არცერთი აქტივის რეალიზაცია არ მოხდება მათ საბალანსო ღირებულებაზე ნაკლები თანხით. შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში არ დაკორექტირებულა აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება და არ შეცვლილა მათი კლასიფიკაცია. ასევე, არ მომხდარა ცვლილებები ვალდებულებების კლასიფიკაციაში და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანია ფინანსური ანგარიშგების კონსოლიდაციისას ეყრდნობოდა მსს ფასს-ის მოთხოვნებს.

ფულადი სახსრები

კომპანიის ფულადი სახსრები მოიცავს ორგანიზაციის სალაროში და საბანკო ანგარიშსწორების ანგარიშებზე რიცხულ თანხებს.

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

უცხოური ვალუტა

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშდება ლარში, ოპერაციის დღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ფინანსურ ანგარიშგებაში უცხოური ვალუტა, სავალუტო მოთხოვნები და ვალდებულებები მოცემულია საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღისათვის არსებული ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსით. ქვემოთ მოყვანილია ლარის კურსი ძირითადი უცხოური ვალუტების მიმართ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 აშშ დოლარი	3.2766 ლარი
1 ევრო	4.0233 ლარი

სასესხო და სხვა მოთხოვნები და ვალდებულებები

სასესხო მოთხოვნებისა და ვალდებულებების არის არაწარმოებული ფინანსური აქტივები. მათი აღიარება თავდაპირველად ხდება თვითღირებულებით, რაც წარმოდგენს მათში გადახდილ საზღაურის სამართლიან ღირებულებას. სასესხო ვალდებულებები და მოთხოვნები პირველადი აღიარების შემდეგ ფასდება ამორტიზებული ღირებულებით. მოგების და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

ფინანსური აქტივების აღიარება წყდება, როდესაც ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი ნაკადების მიღების სახელშეკრულებო უფლებებს ვადა გასდის, ან იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებულ რისკს და სარგებელს.

ფინანსური ვალდებულების აღიარება წყდება, როდესაც ის შესრულდება, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულება დაიფარება, გაუქმდება ან ვადა გაუვა.

მატერიალური მარაგები

კომპანია მატერიალურ მარაგებში აღრიცხავს საქონელს, ძირითად და დამხმარე მასალებს, მზა პროდუქციას და სხვა ისეთ მატერიალურ აქტივებს, რომელებიც განკუთვნილია წარმოების პროცესში მოხმარებისათვის, გასაყიდად ან სხვა მიზნებისათვის. შეძენილი და წარმოებული მატერიალური მარაგების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი თვითღირებულებით, რაც ყალიბდება მათ წარმოებაზე ან/და შესყიდვაზე გაწეული დანახარჯებით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ღირებულება გამოთვლება საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით და მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო მატერიალური ფასეულობები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით.

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

ნეტო სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები.

ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებად მიიჩნევა აქტივი, რომლის სასარგებლო გამოყენების (ექსპლუატაციის) ვადა აღემატება ერთ წელს. საწყისი ისტორიული ღირებულება მოიცავს შესყიდვის საფასურს, ამოუღებელ გადახდილ გადასახადებს და იმ ხარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ძირითადი საშუალების ექსპლუატაციაში გაშვებასთან.

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნარჩენი ღირებულებით, ისტორიული ღირებულებას მინუს დარიცხული ცვეთა.

ამორტიზაცია ერიცხება ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებას.

ძირითად საშუალებებს ამორტიზაცია ერიცხება წრფივი მეთოდით, შემდეგი საპროცენტო განაკვეთებით:

შენობები	2%
ნაგებობები	10%
მანქანა-დანადგარები	7%
სატრანსპორტო საშუალებები	8%
ოფისის აღჭურვილობა	10%
ავეჯი და სხვა ინვენტარი	10%

საამორტიზაციო პერიოდსა და მეთოდს განსაზღვრავს ორგანიზაციის მენეჯმენტი ეყრდნობა წარსულ გამოცდილებას და იამს, თუ რამდენი ხნით გეგმავს ორგანიზაცია ძირითადი საშუალების გამოყენებას, როგორია საბაზრო ფასის დინამიკა და წარსული გამოცდილება.

შემოსავლები და ხარჯები

ორგანიზაციის შემოსავალი ძირითადად ყალიბდება ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოება-რეალიზაციიდან, სარესტორნე მომსახურებიდან და საიჯარო გადასახდელებიდან.

ფინანსურ ანგარიშგებაში ხარჯები წარმოდგენილია დაჯგუფებულად მათი დანიშნულების მიხედვით.

ორგანიზაციის ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

1. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი კონსოლიდირებულად ასახავს 2019 წლის განმავლობაში ორგანიზაციისა და მისი შვილობილი კომპანიის ძირითად საშუალებებში მომხდარ ცვლილებებსა და მათ სტრუქტურულ მდგომარეობას 31 დეკემბრისათვის:

	მიწა	შენობებ ნაგებობებ	სხვა ძირითადი საშუალებებ	მანქანა- დანადგარ ები	ოფისის აღჭურვი ლობა და კომ. ტექნიკა	ავტომობი ლები	სულ
ისტ. ღირ. 01.01.2018	1,212,796	1,196,081	847	7,829,810	134,393	1,084,535	11,458,463
შეძენა	-	-	-	4,532	-	-	4,532
გასვლა	-	-	-	17,480	-	2,500	19,980
ისტ. ღირ. 01.01.2019	1,212,796	1,196,081	847	7,816,861	134,393	1,082,035	11,443,014
შეძენა	-	-	-	3,220	2,233	-	5,453
გასვლა	-	-	-	2,389,551	5,839	464,064	2,859,454
ისტ. ღირ. 01.01.2020	1,212,796	1,196,081	847	5,430,530	130,787	617,971	8,589,013
ცვეთა 01.01.2018	-	-	222,813	-	106	-	6,287,247
დარიცხული ცვეთა	-	-	36,026	-	111	-	362,945
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	11,702	-	-
ცვეთა 01.01.2019	-	-	258,840	-	217	-	6,638,489
დარიცხული ცვეთა	-	-	19,206	-	110	-	83,032
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	2,142,975	-	2,400
ცვეთა 01.01.2020	-	-	278,046	-	327	-	4,578,546
წმინდა ღირ. 01.01.2018	1,212,796	973,268	742	1,542,563	46,895	541,586	4,317,849
წმინდა ღირ. 01.01.2019	1,212,796	937,242	630	1,178,372	37,793	459,709	3,826,542
წმინდა ღირ. 01.01.2020	1,212,796	918,035	521	851,984	32,861	210,349	3,226,546

2. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

კომპანიის კონსოლიდირებული ფულადი სახსრები, რომელიც განთავსებულია საბანკო ანგარიშებსა და კომპანიის საღაროში, მოიცავს:

	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	61,523	91,925	171,710
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	10,997	4,460	34,743
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	2,154	0	0
სულ	74,674	96,385	206,453

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

3. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

კომპანიის სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები საანგარიშგებო წლის ბოლოსთვის მოიცავს:

	31/12/2019	31/12/2018	31/12/2017
საქონელი	109,295	42,947	196,733
ნედლეული და მასალები	165,294	462,774	659,194
სხვა მატერიალური ფასეულობები	127,647	596,511	697,972
სულ	402,236	1,102,233	1,553,900

4. გრძელვადიანი და მოკლევადიანი სესხები

კომპანიის ბალანსზე რიცხული მოკლევადიანი და გრძელვადიანი სესხები მოიცავს:
სს საქართველოს ბანკისგან 2019 წლის 3 ოქტომბერს მიღებულ 250,000 აშშ დოლარის
ოდენობის ხუთ წლიან კრედიტს, 8% საპროცენტო სარგებლის გადახდის პირობით;
ასევე, მოიცავს ფიზიკური პირი დამფუძნებლებისგან მიღებულ სესხებს.

შპს „ყაზბეგი 1881“-ის შვილობილ კომპანიას, შპს ყაზბეგი 2017-ს გააჩნდა 2018 წელს სს
ქართუ ბანკსა და შპს „ყაზბეგი 1881“-ს შორის გაფორმებული გენერალური სასესხო
ხელშეკრულების ფარგლებში მიღებული საბანკო კრედიტი 124,000 აშშ დოლარისა და
251,000 აშშ დოლარის ოდენობით, რომელსაც ერიცხება საპროცენტო სარგებელი წლიური
11%. საკრედიტო ხელშეკრულების მიხედვით კრედიტი სრულად უნდა დაფარულიყო
2023 წლის 1 ოქტომბრისათვის. აღნიშნული კრედიტი კომპანიამ სრულად დაფარა
წინსწრებით 2019 წელს.

5. ამონაგები

კომპანიის კონსოლიდირებული შემოსავალი მოიცავს:

	2019	2018	2017
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,863,738	10,182,321	15,581,863
მომსახურების რეალიზაცია	13,253	29,379	40,362
სხვა შემოსავალი	16,058	0	0
სულ	3,893,048	10,211,700	15,622,225

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

ორგანიზაციის კონსოლიდირებულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

	2019	2018	2017
ხელფასი	1,038,320	2,654,603	3,396,447
კომუნალური ხარჯი	236,279	1,244,242	1,320,869
იჯარა	206,208	696,083	752,990
ცვეთა და ამორტიზაცია	131,160	487,562	529,475
საგადასახადო ხარჯი	95,470	216,719	133,581
ჯარიმები	0	86,298	107,856
რემონტი	500	28,852	11,346
საპენსიო შენატანები	12,166	0	0
საკონსულტაციო ხარჯი	7,464	0	0
კმუნიკაციის ხარჯი	7,449	0	0
საკანცელარიო ხარჯი	4,761	2,617	2,611
საექვო მოთხოვნები	5,164	0	0
სხვა საერთო ხარჯები	88,340	20,597	5,857
სხვადასხვა მომსახურება	83,702	287,253	481,184
სულ	1,916,984	5,724,825	6,742,216

7. პირობითი გარემოებები

საგადასახადო გარემო - ქვეყანაში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით დაწესებულია საერთო-სახელმწიფოებრივი გადასახადები, რომლის გადახდაც სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. ესენია:

- ა) საშემოსავლო გადასახადი - 20%;
- ბ) გადასახადი განაწილებულ მოგებაზე - 15%;
- გ) გადასახადი დივიდენდზე - 5%
- დ) დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ) - 18%;
- ე) აქციზი - აქციზური საქონლის წარმოებასა და იმპორტზე;
- ვ) იმპორტის გადასახადი;

კომპანია ვალდებულია ფიზიკურ პირებზე გადახდილი ხელფასებიდან და განაცემებიდან გადაიხადოს საპენსიო ფონდში 2%.

ასევე, ადგილობრივი გადასახადია ქონების გადასახადი. ქონების გადასახადის დაწესება ხდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს ნორმატიული აქტით, ზღვრული განაკვეთების ფარგლებში, რომლის გადახდაც

შპს ყაზბეგი 1881

ფინანსური უწყისების ახსნა-განმარტებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(თანხობრივი მონაცემები წარმოდგენილია ქართულ ლარებში)

სავალდებულოა შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე.

ბიზნეს გარემო - 2019 წლიდან COVID 19 პანდემიამ მნიშვნელოვნად გააუარესა ბიზნეს გარემო. პანდემიის უარყოფითი გავლენა ეკონომიკის თითქმის ყველა სფეროზე აისახა, თუმცა იმ სფეროებს შორის რომელიც ყველაზე მეტად დააზარალა პანდემიამ არის სარესტორნე ბიზნესი, რომელიც წარმოადგენს შპს ყაზბეგი 1881-ის საქმიანობის ერთ-ერთ მიმართულებას. სავარაუდოა, რომ პანდემიით გამოწვეული შედეგები კიდევ დიდხანს ჰპოვებს ასახვას ქვეყნის ეკონომიკაზე და ბიზნეს გარემოზე.

ასევე, უკანასკნელ წლებში საქართველომ განიცადა მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებანი. საქართველოს არ აქვს კარგად განვითარებული კომერციული ინფრასტრუქტურა, რომელიც როგორც წესი არსებობს ბევრ მაღალგანვითარებულ ბიზნეს ბაზარზე. კანონები და ნორმები, რომლებიც არეგულირებენ და ახდენენ გავლენას სამოქალაქო და ბიზნეს ურთიერთობებზე სწრაფად იცვლება. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნება და წინსვლა დიდადაა დამოკიდებულია ქვეყნის პოლიტიკურ სტაბილურობაზე და მასთან დაკავშირებულ სხვა ისეთ ფაქტორებზე, რომლებიც ცდება ორგანიზაციის კონტროლის ფარგლებს.

8. ფუნქციონირებადი საწარმო

ორგანიზაციის მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ორგანიზაციამ 2019 წლის აპრილიდან არსებითად შეწყვიტა მისი ძირითადი საქმიანობის ისეთი მიმართულება როგორიც იყო ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელების წარმოება და ამჟამად დაკავებულია სარესტორნე მომსახურებით, დისტრიბუციით და საიჯარო მომსახურებით. ორგანიზაციის მენეჯმენტი არ გეგმავს საქმიანობის მასშტაბების მნიშვნელოვან შემცირებას. მიუხედავად პანდემიით გამოწვეული ხელშემშლელი პირობებისა, არ არსებობს რაიმე დასაბუთებული ვარაუდი, რომ ორგანიზაცია მომავალში ვერ შეძლებს ფუნქციონირების გაგრძელებას, შესაბამისად იგი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს და ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით.

9. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს ან გარემოებებს ისეთ ცვლილებას, რაც გავლენას ახდენს გასულ პერიოდებზე და გამოიწვევს ცვლილებებს კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში.